პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 ივნისი, კვირა, 1985 წ.
№ 119 (8980) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

ლერი ხაბელოვი ჩემპიონია!



დაიბადა 1964 წელს თბილისში. წონა 100 კგ, სიმაღლე 187 სმ. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წევრი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი. მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ვანო ნიკოლაძე და ვლადიმერ მეხტერიშვილი. სპორტში ვარჯიშობს 1977 წლიდან. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის, მსოფლიო თასის მფლობელი, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში, თბილისის XXIV საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. ევროპის 1985 წლის ჩემპიონი.

ირკუტსკი (22 ივნისი. ტელეფონით, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი). თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატზე გათამაშდა მედლების პირველი ხუთი კომპლექტი. ქვემძიმე წონაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა თბილისელი ფალავანი ლერი ხაბელოვი. მან ფინალში ანგარიშით 2:0 დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი, ტაშკენტელი ასლან ხადარცევი (შევახსენებთ, რომ ქვეჯგუფში ხაბელოვმა წმინდად მოუგო ოთხივე მეტოქეს). ლერი ხაბელოვი პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა.

დავით გობეჯიშვილმა (+100 კგ) ზედიზედ სამი წმინდა გამარჯვების შემდეგ მეტად პრინციპული შეხვედრა მოუგო ორჯონიკიძელ ვიქტორ ხანგიევს და ფინალში გავიდა. მეორე ფინალისტის ვინაობას მერმანიშვილ-მაგომედოვის ორთაბრძოლა გამოავლენს.

ოთხი წრე დაუმარცხებლად გაიარეს მამუკა რაზმაძემ და მამუკა ხურციძემ (ორივე — 90 კგ).

ომარ შოშიტაშვილი.

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში გრძელდება სსრ კავშირის ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში. გუშინ გაიმართა წყვილთა შეჯიბრება. საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე მოსკოველები ავიდნენ. ჩემპიონი გახდა ელენა ოსიპოვა — ირინა პოტიომკინას წყვილი (174,21 ქულა). მომდევნო ადგილები დაიკავეს ეკატერინა ლავრიკ — მარია ჩერნიაევასა (170,35) და ელენა დაშინა — ლიუდმილა ოსიპოვას (169,43) წყვილებმა. მასპინძელთაგან საუკეთესონი ლელა მამიაური და ხრისტინა ფალახანდი VII ადგილზე გავიდნენ.

შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში

ელვა-ინფორმაცია

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიმდინარეობს ევროპის თასის გათამაშება მრგვალ სტენდზე სროლაში. გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში თამაზ იმნაიშვილიც გამოდის. პირად პირველობაში იმნაიშვილი ჩერჩეროზით მეორე-მეხუთე ადგილებს იყოფს.

48 საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

ფრე აქტიურობის მიუხედავად

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 22 ივნისი.

„დინამო" (თბილისი)		„ტორპედო" (მოსკოვი)
გაბელია		სარიჩევი
კეტაშვილი		კრუგლოვი
ჩივაძე		პოლუკაროვი
შელია	0:0	გოსტენინი
არზიანი		ჟუპიკოვი
კაკილაშვილი		დოზმოროვი
სვანაძე		პრიგოდა
გოგრიჭიანი		კობზევი
გურული		ბურიაკი
ცაავა		სუსლოპაროვი
ჩქარეული		რედკოუსი

65-ე წთ. ჩქარეულის ნაცვლად — მესხი, 70-ე წთ. გოგრიჭიანის ნაცვლად — სულაქველიძე, 77-ე წთ. სუსლოპაროვის ნაცვლად — პივოვი, 84-ე წთ. კობზევის ნაცვლად — ნ. სავიჩევი.
მსაჯი: ივან ტიმოშენკო (დონის როსტოვი).
კარში დარტყმა — 10:12 (5:5), ზუსტი დარტყმა — 0:6 (0:2),
საჯარიმო მოედნიდან — 2:6 (1:2).
კუთხური — 4:3 (3:3).
დაჯარიმდნენ — თბილისელები 12 (5), მოსკოველები — 14 (11).

მატჩის დასაწყისი იმედის მომცემი გამოდგა. მასპინძელთა ათივე ფეხბურთელი ერთბაშად ჩაერთო თამაშში, „დინამო" სწრაფად აგვარებდა როგორც დაცვის, ისე შეტევის ორგანიზაციის და სტუმრებს, ბუნებრივია, გაუჭირდათ. გაუჭირდათ, მაგრამ სულ რაღაც ათიოდე წუთი, რადგან მალე გაირკვა, რომ თბილისელთა აქტიურობა მყარი არ იყო. ერთადერთი, რაც ამ ენერგიულმა დასაწყისმა მოუტანა „დინამოს", ალექსანდრე ჩივაძის ძლიერი დარტყმა იყო. სამწუხაროდ, ისიც კარს აცდა.

თამაში გათანაბრდა. ორივე გუნდი მონაცვლეობით გადადის შეტევაზე, საშიშად ურტყამენ თბილისელთა კარისაკენ პოლუკაროვი, კობზევი, ბურიაკი; დინამოელთაგან დასახსომებელი იყო კაკილაშვილის ეფექტური იერიში და ცაავას დარტყმა.

მინდვრის ცენტრში მასპინძელთა, ცოტა არ იყოს, უსისტემო თამაში იმანაც განაპირობა, რომ ერთობ ცალმხრივად გადაიჭრა ბურიაკის პრობლემა. ცალმხრივად იმიტომ, რომ ბურიაკს, მართალია, არ მიუღია მონაწილეობა თბილისელთა კარზე უშუალო იერიშში, მაგრამ მინდვრის ცენტრიდან ოსტატური პასებით სახიფათო მიმართულებას აძლევდა მოსკოველთა იერიშებს. არ ვიცი, მატჩის წინ ბურიაკის რანაირ მოქმედებას ვარაუდობდნენ მასპინძლები, ეს კი არის, რომ უშუალოდ მინდორზე მას შემთხვევიდან შემთხვევამდე მეურვეობდნენ შელია და კაკილაშვილი. დინამოელთაგან არავის, მათ შორის შელიასა და კაკილაშვილს, იოტისოდენად არ შეუშლიათ ხელი ბურიაკისთვის, ეკეთებინა ის, რაც მას ყველაზე უკეთ ეხერხება.

მეორე ტაიმი ბევრი არაფრით განსხვავდებოდა პირველისგან. თბილისელთა იერიშები ცაავას შორეული დარტყმებით გამოიხატა, და, სტუმრებს კი, სულ ცოტა, ორჯერ მაინც (48-ე და 65-ე წუთებზე) ჰქონდათ გოლის გატანის შესაძლებლობა. 76-ე წუთზე ბურიაკის, კრუგლოვისა და დოზმოროვის მიერ გათამაშებული კომბინაცია იმდენად ლამაზი იყო, რომ გულწრფელად შემშურდა და „დინამოს" არც თუ შორეული წარსულიც მომაგონდა.

თუმცა მარტო ეს არ იყო, როგორც ჩანს, დადგა დრო, როცა თბილისელებს ბევრი რამის სწავლა თავიდან მოუწევთ, ბევრიც სხვისგან უნდა გადაიღონ, თუნდაც ის, რომ მოსკოველთა ერთ-ერთი იერიშის დროს კობზევმა და რედკოუსმა პასის მოლოდინში ხუთჯერ (!) მოასწრეს ადგილების გაცვლა.

86-ე წუთზე ცაავამ კიდევ ერთხელ სცადა შორიდან გაეტანა გოლი და კვლავ უშედეგოდ. და საერთოდ, შესაძლოა უხერხულიც იყოს, მაგრამ აუცილებელია ერთი რამის აღნიშვნა: მთელი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში თბილისის „დინამომ" საჯარიმო მოედნიდან, ესე იგი ახლოდან სულ ორჯერ მოახერხა მოსკოველთა კარისკენ დარტყმა, საერთოდ კი არც ერთი დარტყმა სტუმართა კარისკენ ზუსტად არ წასულა.

ირაკლი ბერიაშვილი.

გათამაშების ცხრილი. უმაღლესი ლიგა

ძირითადი შემადგენლობანი, მდგომარეობა 23 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
1. „დინამო" (კიევი)	15	9	5	1	28-10	23	(—7)
2. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	15	8	6	1	26-12	22	(—8)
3. „სპარტაკი" (მოსკოვი)	15	7	7	1	30-9	21	(—9)
4. „ტორპედო" (მოსკოვი)	15	8	4	3	19-10	20	(—10)
5. „დინამო" (თბილისი)	15	7	5	3	18-13	19	(—11)
6. „დინამო" (მინსკი)	15	6	6	3	17-11	18	(—12)
7. „ფაკელი" (ვორონეჟი)	16	5	5	6	21-17	15	(—17)
8. „ქაირათი" (ალმა-ათა)	15	4	6	5	12-18	14	(—16)
9. „ზენიტი" (ლენინგრადი)	15	6	1	8	20-19	13	(—17)
10. „ჩერნომორეცი" (ოდესა)	15	5	3	7	19-28	13	(—17)
11. „შახტიორი" (დონეცკი)	15	4	5	6	20-20	13	(—17)
12. „ტორპედო" (ქუთაისი)	15	4	5	6	12-21	13	(—17)
13. „დინამო" (მოსკოვი)	15	4	4	7	21-24	12	(—18)
14. „ნეფთჩი" (ბაქო)	15	4	4	7	12-17	12	(—18)
15. „ჟალგირისი" (ვილნიუსი)	15	4	4	7	17-28	12	(—18)
16. „მეტალისტი" (ხარკოვი)	15	4	3	8	15-26	11	(—19)
17. „არარატი" (ერევანი)	15	3	5	7	17-22	11	(—19)
18. სკა (როსტოვი)	16	3	4	9	15-25	10	(—22)

გუშინ მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო" (მოსკოვი) — „მეტალისტი" (ხარკოვი). გაიმარჯვა „დინამომ" — 2:1.

მხოლოდ ნიშნები

მეტწილად ცოდნა, უნარი და ოსტატობა გარკვეული ნიშნით იზომება. ეს ნიშნები, რომლებიც ობიექტურად გამოხატავენ ჩვენს დამოკიდებულებას სწავლასა თუ საქმესთან, უწინარეს ყოვლისა, ჩვენვე გვიქმნის სწორ თვალსაზრისს იმის შესახებ, თუ რანი ვართ, რას წარმოვადგენთ...

ფეხბურთი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის, თუმცა ზუსტი შეფასება ამა თუ იმ ფეხბურთელის თამაშისა მაინც სუბიექტურია. მიუხედავად ამისა, სპეციალისტიცა და გულშემატკივარიც მეტწილად, შეუმცდარად და ობიექტურად აფასებენ ამა თუ იმ ფეხბურთელის ძალას, მისი თამაშისა და მონდომების ხარისხს. აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ უშეცდომო, როგორც ცნობილია, ამქვეყნად არავინ არის და ნიშნების სისტემით გამოხატული ფეხბურთელის ოსტატობა იქნებ მუდამ არც იყოს ზუსტი. მაგრამ შეიძლება შეცდეს ერთი, თუნდაც რამდენიმე, მაგრამ შეუძლებელია ცდებოდეს გულშემატკივართა და სპეციალისტთა დიდი ჯგუფი. სწორედ ამიტომ, „ლელოს" თაოსნობით შეიქმნა ფეხბურთის სპეციალისტთა და მოყვარულთა წარმომადგენლობითი, ოცდაათკაციანი ჯგუფი, რომელიც ამიერიდან თბილისის „დინამოს" ყოველი მატჩის შემდეგ ნიშნებით შეაფასებს ფეხბურთელთა თამაშს. ამ ნიშნების მიხედვით გამოყვანილი საშუალო შეფასება მატჩის რეცენზიასთან ერთად გამოქვეყნდება „ლელოში". ცნობისათვის: შეფასების სისტემა ათბალიანი იქნება, ესე იგი, უმაღლესი ნიშანი იქნება 10 ბალი, ხოლო შემდეგ უკვე თამაშის ხარისხი განსაზღვრავს შეფასებას. რაკი უმაღლესი ნიშანი ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ 5 ბალზე დაბალი ნიშანი დაახლოებით „ორიანს" გაუტოლდება. დასაწყისში ამან ეგებ ერთგვარი უხერხულობაც კი გამოიწვიოს (რაც უნდა იყოს, შეუჩვეველი ამბავია), მაგრამ მერე და მერე შევეჩვევით ფეხბურთელებიცა და გულშემატკივრებიც, ხოლო შემდგომ ეს სიახლე უთუოდ გარკვეულ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ფეხბურთს.

გარკვეულ სარგებლობას! სხვა მიზანი ჩვენ არცა გვაქვს.

თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" შეხვედრის შემდეგ კომისია თავის პირველ თათბირზე შეიკრიბა. კომისიის თითოეულმა წევრმა შეაფასა დინამოელთა თამაში (როგორც ცალკეული ფეხბურთელებისა, ისე მთელი გუნდისა).

ამ შეფასებათა საშუალო მაჩვენებლები ასეთია: გაბელია — 8,1, კეტაშვილი — 7,6, ჩივაძე — 7,9, შელია — 6,0, არზიანი — 5,5, კაკილაშვილი — 5,5, სვანაძე — 5,5, გოგრიჭიანი — 6,5, გურული — 5,5, ცაავა — 5,9, ჩქარეული — 4,7. რაც შეეხება მოედანზე მეორე ტაიმში გამოსულ ფეხბურთელებს, მესხსა და სულაქველიძეს, კომისიის წევრთა უმეტესობას მათი თამაში არ შეუფასებია.

თბილისის „დინამომ" გუშინდელ მატჩში მიიღო შეფასება 5,5.

„...ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲥᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲜ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ.“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ

ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ

ᲐᲜᲣ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲣᲨᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ჩოგბურთის სამშობლო დიდი ბრიტანეთია. ეს თამაში XIX საუკუნის მიწურულს გაჩნდა და სახელად პინგ-პონგი ეწოდა. საბჭოთა კავშირში სპორტის ამ სახეობას 1925-26 წლებში ჩაეყარა საფუძველი. 1926 წელს შეიქმნა საერთაშორისო ფედერაცია და თამაშს მაგიდის ჩოგბურთი ეწოდა. ჩვენში 1950 წელს ჩამოყალიბდა საკავშირო სექცია, რომელიც 1959 წელს ფედერაციად გარდაიქმნა. 1951 წლიდან ტარდება ქვეყნის პირადი პირველობა, 1952-დან — გუნდური.

საქართველოს სპორტსმენებს არაერთხელ მოუპოვებიათ წარმატება საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

მაგრამ ყველაფერი ეს წარსულში იყო.

ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ გადავხედოთ სტატისტიკურ მონაცემებს. ჩვეულებრივ, წარსულისა და დღევანდელობის ციფრებსა და ფაქტებში გამოხატვა უტყუარი ანალიზის შესაძლებლობას გვაძლევს. ცხადია, არის სტატისტიკა, რომელიც მხოლოდ წინსვლას უნდა ასახავდეს, იმას, რაც ცხოვრების ლოგიკითაა ნაკარნახევი. მაგრამ არის ეგრეთ წოდებული უარყოფითი სტატისტიკაც, რომელიც ასევე ლოგიკურია, თავისებური გამართლებაც მოეძებნება და ასევე ცხოვრების წინსვლითაა ნაკარნახევი. ხომ არ შეიძლება, მაგალითად, ვთქვათ და ვიდავოთ იმაზე, თუ რატომ იყო ჩვენი საუკუნის დასაწყისში ნაკლები გინდა შენობები და ქუჩები, გინდა მოსახლეობა, ვიდრე დღესაა. მაგრამ სპორტის ესა თუ ის სახეობა დროთა განმავლობაში ნაკლებ მასობრივი რომ ხდება და თაყვანისმცემლებიც შემოაკლდება, ეს უკვე ალოგიკური, არაცხოვრებისეული, ასე ვთქვათ, არაბუნებრივი მოვლენაა და მიზეზები ხელოვნურ შეფერხებებში უნდა ვეძიოთ. დღეს, მაგალითად, მასობრივ მაგიდის ჩოგბურთს თურმე გაცილებით ნაკლები მოყვარული ჰყავს, ვიდრე ამ ათი, ოცი და ოცდაათი წლის წინათ (სპორტულ სექციებში მომეცადინეთა რიცხვი არ გვაქვს მხედველობაში).

იყო დრო, მაგიდის ჩოგბურთი ბატონობდა კულტურისა და დასვენების პარკებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, სამკურნალო დაწესებულებებში, სასწავლებლებში, საწარმო-დაწესებულებებსა თუ ცალკეულ ორგანიზაციებში. მერე და მერე უპირატესობა მეტწილად ელექტრულ-ტექნიკურმა გასართობებმა მოიპოვა. ჩოგბურთის მაგიდების ადგილი (განსაკუთრებით ორგანიზაცია-დაწესებულებებში) ბევრგან ბილიარდმა დაიკავა. ერთი სიტყვით, ეს საინტერესო თამაში თანდათან აითვალისწუნეს და ლამის საერთოდ გააძევეს კიდეც ყოველდღიური ცხოვრებიდან. შარშან, მას შემდეგ, რაც საქმეში ჩვენი რედაქცია ჩაერია, რამდენიმე ჩოგბურთის მაგიდა შეიძინა ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის დირექციამ და ტრადიცია იქ ასე თუ ისე აღდგა. ბევრს ალბათ ახსოვს, ვაკის პარკში მთელ სიგრძეზე იყო ჩამწკრივებული ჩოგბურთის მაგიდები, სადაც უამრავი ხალხი იყრიდა თავს სათამაშოდ. ამჟამად კი დედაქალაქის ამ ყველაზე დიდ და ყველაზე ხალხმრავალ პარკში ჩოგბურთის ერთი მაგიდაც არსად დგას. ჩოგბურთის ექვსი მაგიდა მხოლოდ ახლახანს შეიძინა მთაწმინდის პარკმა. კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში სულ ხუთი მაგიდაა.

მაგიდის ჩოგბურთისადმი საერთო უყურადღებობამ პირდაპირ სავალალო ფაქტამდე მიგვიყვანა. სხვა ზარალზე არაფერს ვამბობთ, მაგრამ ამგვარმა გულგრილობამ სპორტს რომ დიდად ავნო, ეს უკვე ცხადზე ცხადია. ამ დღეებში ხელმძღვანელ ორგანოში ჭაბუკთა საკავშირო თამაშებისათვის რესპუბლიკის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდის მზადყოფნის საკითხს იხილავდნენ. უფროსმა მწვრთნელმა დიდად ვერავინ დააიმედა: გუნდის დაკომპლექტებაც კი გაგვიძნელდა კანდიდატთა შერჩევაზე რომ არაფერი ვთქვათ, განაცხადა. ამაზე საგანგაშო რაღა უნდა იყოს, — მთელ რესპუბლიკაში თურმე რამდენიმე იმედის მომცემი სპორტსმენი ვერ გამოიძებნა.

მაგიდის ჩოგბურთი ჩვენში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე რომ არის, ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს: ეს სახეობა რესპუბლიკის მხოლოდ 19 ქალაქსა და რაიონშია დანერგილი. ყველაზე მეტ — 68 ჯგუფს აფინანსებს განათლების სისტემა, თორმეტს — „სპარტაკი“, ოთხს — „დინამო“. წლეულს 14 ჯგუფი გახსნა „ლოკომოტივმა“, ესაა და ეს. დანარჩენმა სპორტულმა საზოგადოებებმა და უწყებებმა მაგიდის ჩოგბურთი დიდი ხანია დაივიწყეს. არა გვაქვს შექმნილი ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ამ სახეობაში ბავშვთა ჯგუფებში მომეცადინეთა შემდგომ დაოსტატებას.

ახლა კვლავ დგება დღის წესრიგში სპორტის ამ სახეობის აღორძინებისა და მასობრიობის უზრუნველყოფის საკითხი. ყველაფერი კი ალბათ ბავშვთა დაინტერესებით უნდა დავიწყოთ. ხომ ვატარებთ და გაამართლა კიდეც ნორჩ ფეხბურთელთა ქუჩის გუნდების პირველობამ. მინი-კალათბურთის პერსპექტივაც საიმედოა. მაშ რატომ არ უნდა მოვკიდოთ ხელი ასეთივე ინტერესით მაგიდის ჩოგბურთს?. სერიოზულად არასოდეს დავფიქრებულვართ და თაოსნობა არ გამოგვიჩენია, თორემ მოზარდთა შორის მაგიდის ჩოგბურთს ფეხბურთზე და კალათბურთზე ნაკლები მიმდევარი როდი გამოუჩნდება. უდავოა, მაგიდის ჩოგბურთი სპორტის იმ სახეობათა შორისაა, რომლის მასობრივი დანერგვისათვის შეუნელებელი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ საკლუბო დაწესებულებებმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა.

მასობრივი მაგიდის ჩოგბურთი სპორტის არც ერთ სახეობაზე უკეთეს პირობებს არ მოითხოვს. პირიქით, სადაც სხვა სახეობაში გამორიცხულია მეცადინეობა, სწორედ იქ შეიძლება დავნერგოთ პატარებისათვის და არა მარტო პატარებისთვის ხელმისაწვდომი და საყვარელი ეს თამაში. მაინც რა გვაქვს მხედველობაში? ავიღოთ თუნდაც თოთხმეტ და თექვსმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ხიმინჯებზე დგას და ამიტომ მთელი პირველი სართული ცარიელია. ასეთი სახლები თბილისის ახალი დასახლებების ყველა უბანშია. ბევრს არ ვიტყვით, თითო კორპუსის ქვეშ თუნდაც ერთი ან ორი ჩოგბურთის მაგიდა რომ დაიდგას, უკვე დიდი საქმე გაკეთდება. სხვაგან პატარა სათავსებიც გამოინახება, ბოლოს და ბოლოს, ზაფხულობით ღია ცის ქვეშაც შეიძლება მაგიდების დადგმა, თუ მეტ მზრუნველობას გამოვიჩენთ, ლამაზი და მიმზიდველი პავილიონებიც შეიძლება დაპროექტდეს.

მასობრიობის ამოცანის გადაწყვეტა სხვა გზითაც შეიძლება. აბა დავფიქრდეთ, რამდენი გამოუყენებელი რეზერვი გვაქვს საბავშვო ბაღებში, სკოლებში, საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში. თუნდაც კინოთეატრებში შეიხედეთ.

ცალკე უნდა ვთქვათ სპორტული ბაზების შესაძლებლობებზე. რესპუბლიკაში ახლა ბევრი შესანიშნავი სპორტული ნაგებობა გვაქვს, რომელთა ფოიეები თუ სხვა გამოუყენებელი ფართობი პირდაპირ მისწრებაა მაგიდის ჩოგბურთისთვის. თბილისის განათლების სამმართველოს ხელბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლის შენობას ათას კვადრატულ მეტრზე მეტი გამოუყენებელი ფართობი აქვს. ლაპარაკია წინა ფასადის გადახურულ მისასვლელზე, სადაც, ჩვენი ვარაუდით, თავისუფლად დაიდგმება, სულ მცირე 20 ჩოგბურთის მაგიდა. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ეს სპორტული ნაგებობა ერთადერთია გლდანის მასივში და მიკრორაიონში კი ათასობით მოზარდი ცხოვრობს.

მიმოვიხედოთ ირგვლივ, სადაც ვსწავლობთ, ვმუშაობთ, ვისვენებთ თუ ვმკურნალობთ და უმალვე დავრწმუნდებით, რამდენი შესაძლებლობა გვრჩება გამოუყენებელი. ჩოგბურთის მაგიდის დასადგმელი ადგილი ყველგან გამოინახება. აქამდე შეუმჩნეველი სიცარიელე უმალვე მიგვითითებს ჩვენსავე უყურადღებობაზე.

მაგრამ ვთქვათ, გაჩაღდა მაგიდის ჩოგბურთის ბუმი. გაჩნდება თუ არა სხვა პრობლემები, მას შემდეგ, რაც უმთავრესი — სათამაშო ადგილის გამოყოფის საკითხი მოგვარდება? ალბათ გაჩნდება, თანაც ისეთი, კაცი ღრმად რომ დაფიქრდეს, შეიძლება შეგრცხვეს კიდეც. რა პრობლემაზეა ლაპარაკი? ბურთზე, მაგიდის ჩოგბურთის უბრალო, პატარა ბურთზე. ეს ბურთები იმათთვისაც კი ძნელი საშოვნელია, ვისაც დღემდე კიდევ შემორჩა ძველი, მაგრამ მარად უბერებელი პინგ-პონგის სიყვარული. როცა ამ წერილს ვამზადებდით, ბევრ მაღაზიაში შევიარეთ, ზოგსაც ტელეფონით დავუკავშირდით. პასუხი ყველგან და ყველასაგან თითქმის ერთი და იგივე მივიღეთ. „მაგიდის ჩოგბურთის ბურთებს ვიღებთ, მაგრამ ცოტას, მოთხოვნა დიდია“.

საოცარი რამ გვითხრეს რუსთაველის კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც მომსვლელთა განკარგულებაში მაისიდან სექტემბრამდე ჩოგბურთის 10-12 მაგიდაა. წელს პარკს 500 ცალი ბურთი მიუღია. მოგეხსენებათ მაგიდის ჩოგბურთის ბურთი დიდხანს არ ძლებს და რაღაც ერთი თვის შემდეგ ეს რიცხვი 60-მდე შემცირდა. ახლა ჩამოვთვლით იმ ობიექტებს, საცაც ბურთების საძებნელად და შესაძენად უვლიათ პარკის თანამშრომლებს და თავად დარწმუნდებით, რა ძნელი ყოფილა ამ პატარა ბურთის შოვნა: მანგლისი, ბოლნისი, საგარეჯო, მარნეული, გარდაბანი, თეთრი წყარო... თითქმის ყველა დასახლებული პუნქტის მაღაზიები აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებამდე. ვინ დაიჯერებს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც ტყავისა თუ რეზინის ნაირ-ნაირ ბურთებს ვუშვებთ, სადაც სპორტული ნაწარმის დამამზადებელი მძლავრი ორგანიზაციები გვაქვს, მაგიდის ჩოგბურთის ბურთის წარმოება ვერ აითვისეთ? ეს რომ მართლაც დაუჯერებელია, შეიძლება ძალიან მალე დაგვიმტკიცონ სპეციალისტებმა, თუკი, ცხადია, მოინდომებენ. ახლა ისიც ვთქვათ თუ ვინ ჩაუდგება საქმეს სათავეში. პირველ ყოვლისა ინიციატივა უნდა გამოიჩინონ სპორტულმა საზოგადოებებმა და უწყებებმა, სამინისტროებმა, რომ მათ სისტემაში, მთელ დარგში მაგიდის ჩოგბურთი დაინერგოს როგორც სავალდებულო სპორტის სახეობა. საერთო საქმიანობას ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს რესპუბლიკურმა ფედერაციამ, რომლის მუშაობაში, სამწუხაროდ, დღემდე არ იგრძნობა გარდატეხა.

და ბოლოს, გვინდა მკითხველს მივმართოთ: როგორ გგონიათ, მაინც რამდენი დრო იქნება საჭირო საიმისოდ, რომ პინგ-პონგმა ყველგან გაიდგას ფეხი, რომ მაგიდაც, ბადეც, ბურთიც და ჩოგნებიც, როგორც იტყვიან, თავზე საყრელი იყოს?. თუ საქმეს გულთან ახლოს მივიტანთ, ალბათ დიდხანს არ უნდა დაგვჭირდეს ლოდინი. მერე? მერე ალბათ თამამად ვიტყვით, რომ მაგიდის ჩოგბურთიც მასობრივად ჩადგა ადამიანის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სამსახურში, მერე ფეხბურთის მსგავსად ამ სახეობაში ქუჩისა და ეზოების გუნდების პირველობებიც გაიმართება...

მეტს ნუღარ მოვთხოვთ პატარა ჯადოსნურ ბურთს.

ოღონდ... ოღონდ მანამდე, პირველ ყოვლისა, ჯერ ყველაფერი საკუთარ თავს მოვთხოვოთ.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲣᲗᲕᲜᲔᲚᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲕᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „კლასიკოსთა“ ნაკრებმა ვერც ერთი მედალი ვერ მოიპოვა კრასნოიარსკში. საკავშირო ჩემპიონატების სტატისტიკას ასეთი რამ არ ახსოვს. ფაქტია: ჩვენი გუნდი აშკარად მოუმზადებელი შეხვდა სპორტული სეზონის ერთ-ერთ საპასუხისმგებლო შეჯიბრებას და ჩვენი ტრადიციებისთვის ერთობ შეუფერებელი შედეგი აჩვენა. გულშემატკივართა იმედები ვერც გამოცდილმა მოჭიდავეებმა გაამართლეს და ვერც ახალგაზრდებმა.

ცალკეულ წონით კატეგორიებში გამართულ ორთაბრძოლებზე დაწვრილებით მოგითხრობთ წერილში, რომლის ავტორია სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი საქართველოში ᲠᲝᲛᲐᲜ ᲠᲣᲠᲣᲐ.

ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲘᲐᲠᲡᲙᲘᲡ საკავშირო ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკის 14 მოჭიდავე მონაწილეობდა. უმჩატეს და ქვემსუბუქ წონებში წარმომადგენელი არ გვყავდა. გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა თემო ყაზარაშვილმა ამჯერად 52 კგ წონის მოჭიდავეთა შორის იასპარეზა. ახალ წონაში „აკლიმატიზაცია“ ყოველთვის სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ყაზარაშვილმა ვერ შეძლო გამკლავებოდა მეტოქეებს, მხოლოდ ოთხი წრე იჭიდავა და საბოლოოდ მეშვიდე ადგილზე დარჩა. ცხადია, ამ შედეგით საბჭოთა კავშირის ნაკრებში ადგილის შენარჩუნებაზე ლაპარაკი ძნელია. შეიძლება იკითხონ: წონის გამოცვლა რა აუცილებელი იყოო. საქმე ის არის, რომ ყაზარაშვილს ბოლო ხანს ძალზე უჭირდა წონის შენარჩუნება, ყოველი ახალი შეჯიბრების წინ 6-7 კილოგრამს იკლებდა და ამან უარყოფითად იმოქმედა მის შედეგებზე. შარშანწინ მსოფლიო ჩემპიონატზე „ბრინჯაოს“ დასჯერდა, შარშან „მეგობრობის“ საერთაშორისო ტურნირში მეოთხე ადგილი დაიკავა, წლეულს ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ მესამე იყო... შეჯიბრების ბოლომდე ფიზიკური ძალა არ ყოფნიდა. ამიტომაც გადაწყდა მჩატე წონაში გამოგვეცადა, თუმცა ისიც კარგად ვიცოდით, რომ ახალ კონკურენტებთან ბრძოლა გაუჭირდებოდა. თუ ფიზიკურ მომზადებას გაიუმჯობესებს, ყაზარაშვილი კიდევ იტყვის თავის სიტყვას.

მჩატე წონაში გამოდიოდა აგრეთვე საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი, 19 წლის გოჩა სარკიაშვილი. საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტმა გაუბედავად, უინიციატივოდ იჭიდავა და სტარტზე ზედიზედ ორჯერ დამარცხდა. საერთოდ, ჩვენმა ახალგაზრდა მოჭიდავეებმა ვერ გაამართლეს იმედები, ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობანი და ადრევე გამოეთიშნენ შეჯიბრებას. მაგალითად, ვასილ ონიანმა (62 კგ) მხოლოდ მესამე წრემდე მიაღწია, მამუკა ჩაჩუამ (68), მამუკა გიგაურმა (68), გიორგი მერაბიშვილმა (74) და გიორგი ნაცვლიშვილმა (90) კი ორორი წრე იჭიდავეს. ზედიზედ ორი მარცხი იწვნია ლევან მეხეშიძემაც (68). უდაოდ პერსპექტიული მოჭიდავეა ბათუმელი ჯემალ ბაკურიძე (74). ის უკვე ორჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებში, წლეულს კი პირველად გამოვიდა მოზრდილთა ჩემპიონატში. ბაკურიძეს მონდომება, სპორტული ჟინი არ აკლია, ბოლომდე თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ ფიზიკური მომზადება არ ეყო და მეხუთე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას.

შარშან, მინსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე 82 კგ წონის მოჭიდავეთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქართველი ფალავნები — თეიმურაზ აფხაზავა და ზაალ კუპუსიძე, წლევანდელ ჩემპიონატში კი ეს სპორტსმენები საერთოდ არ გამოსულან — აფხაზავას ფეხი ჰქონდა ტრავმირებული, კუპუსიძე კი რკინიგზელ ფალავანთა მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრა. საერთოდ, წლევანდელ სპორტულ სეზონში აფხაზავამ მხოლოდ ერთ დიდ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. ეს იყო იაპონიაში გამართული სუპერტურნირი. მართალია, აფხაზავამ მოიგო ეს შეჯიბრება, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის საგზური ბატალოვს ხვდა. ბატალოვმა ბრწყინვალედ იასპარეზა ლაიფციგში და ოქროს მედალი მოიპოვა, ახლა კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა. ერთი სიტყვით, აფხაზავას ღირსეული კონკურენტი გამოუჩნდა ნაკრებში და პოზიციების დასაბრუნებლად უშედავათო ბრძოლა მოელის. საკავშირო ნაკრები კი, როგორც ცნობილია, ახლა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება. თუ ვინ გაემგზავრება ოსლოში, ამას, ალბათ, აფხაზავა—ბატალოვის საკონტროლო შეხვედრა გადაწყვეტს. ყოველ შემთხვევაში, ნაკრების მწვრთნელებს ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

კრასნოიარსკში ამ წონაში საქართველოდან ბეგი დარჩიამ იასპარეზა. მას კარგი მონაცემები აქვს, მაგრამ მოსამზადებელ პერიოდში ბევრი ვარჯიში გააცდინა და ცხადია, შედეგიც ვერ აჩვენა — მხოლოდ სამი წრე იჭიდავა.

ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად საკმაოდ გამოცდილი სპორტსმენები არიან ზაურ ივანაშვილი (90) და გურამ გედეხაური (100). ივანაშვილმა შარშანწინ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (ორჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის) და სპეციალისტთა ყურადღებაც მიიპყრო. მას შემდეგ ფიზიკურად უფრო მომძლავრდა, მაგრამ ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება აკლია, ერთფეროვნად ჭიდაობს და ჯერჯერობით საკავშირო ნაკრების ლიდერთა შორის ვერ მოხვდა. კრასნოიარსკში ივანაშვილმა მეოთხე ადგილი დაიკავა, არადა, ერთი საბედისწერო შეცდომა რომ არა, შეიძლება ჩემპიონიც გამხდარიყო. მეოთხე ადგილზე გავიდა გედეხაურიც. მასაც ერთი დიდი ნაკლი აქვს — ტექნიკაში მოიკოჭლებს. ამასობაში ქვემძიმე წონაში ახალი ლიდერი გამოჩნდა, ეს არის ფედორენკო, რომელმაც ევროპის პირველობაც მოიგო და საკავშირო ჩემპიონატიც. გედეხაურს ბევრი შრომა დასჭირდება, რომ ნაკრებში დამკვიდრდეს და დიდი სარბიელისკენ გზა გაიკაფოს.

მძიმე წონაში ორი სპორტსმენი გვყავდა — ავთანდილ მაისურაძე და მათე სვანიძე. სვანიძეს სტარტზევე ძლიერი მეტოქეები შეხვდა. პირველ წრეში — საკავშირო ნაკრების წევრი ტკაჩუკი, მეორეში — ევროპის ჩემპიონი როსტოროცკი. პირველ შეხვედრაში ორივე მეტოქე პასიურობისთვის მოხსნეს. სვანიძემ როსტოროცკისთანაც ვერაფერი გააწყო და ბრძოლას გამოეთიშა. მაისურაძემ ერთი შეხვედრა მოიგო, ორი წააგო.

რა თქმა უნდა, ჩვენმა მოჭიდავეებმა კრასნოიარსკში ძალზე სუსტად იასპარეზეს. ამ მარცხს აქვს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, რაზედაც უთუოდ გვმართებს პირუთვნელი მსჯელობა. ამჯერად მხოლოდ ერთს ვიტყვი: პირადად მე რესპუბლიკის ნაკრებთან ბოლო ორი თვე ვიმუშავე, მანამდე კი ამის საშუალება, ფაქტიურად, არ მქონია.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ: ამ წერილში არაფერია ნათქვამი მარცხის მიზეზებზე, იმაზე, თუ რამ შეუშალა ხელი საქართველოს ნაკრებს კარგად მომზადებულიყო საკავშირო ჩემპიონატისთვის. ჩვენ ველით დამაჯერებელ პასუხს საქართველოს სპორტკომიტეტის ჭიდაობის სამმართველოსგან, ჭიდაობის უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლისგან.

ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ I ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ



ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ძიუდოისტთა ტურნირს თელავმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში 31 ქალაქისა და რაიონის 120 ძიუდოისტი მონაწილეობდა. დასკვნით ტურნირს წინ უძღოდა გორში, სოხუმსა და საგარეჯოში გამართული ზონალური შეჯიბრებები. სწორედ აქ გამოვიდნენ ის უძლიერესი ჭაბუკი ფალავნები, რომლებმაც ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

თამაშის შედეგებზე გვესაუბრა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ძიუდოში, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ᲘᲣᲠᲘ ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

— როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში 1969-70 წლებში დაბადებული ძიუდოისტები გამოვლენ (ჭიდაობის სხვა სახეობებში 1967-69 წლებში დაბადებულები ასპარეზობენ). ამან დამატებითი სიძნელეები შეგვიქმნა. უფრო კონკრეტულად გეტყვით: შარშან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა დიდი წარმატებით იასპარეზა და პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ ამ გუნდის წევრთა უმრავლესობა დებულების თანახმად ჭაბუკთა თამაშებზე ვერ გამოვა. ერთი სიტყვით, თამაშებისთვის ფაქტიურად ახალი ნაკრების შექმნა გახდა საჭირო.

ამიტომ, ბუნებრივია, ყურადღებით ვადევნებდით თვალს თელავში გამართულ შეჯიბრებას, სადაც ყველა უძლიერესმა ჭაბუკმა ძიუდოისტმა მოსინჯა ძალა. ამ პერიოდისთვის ნაკრების ძირითადი ბირთვი უკვე შერჩეული იყო, თუმცა რესპუბლიკური თამაშების შემდეგ გუნდს კიდევ რამდენიმე სპორტსმენი დაემატა: კახა ონიანი, იოსებ სხილაძე და მერაბ მაზმიშვილი. ამ ჭაბუკებმა ყველა შეხვედრა ოსტატურად წარმართეს და თავიანთ წონებში ლიდერთა შორის დაიმკვიდრეს ადგილი. კმაყოფილი დავრჩით ნაკრების სხვა კანდიდატთა გამოსვლითაც.

შეჯიბრებას კარგად მომზადებული შეხვდნენ ქუთაისის, გორისა და ლენტეხის გუნდები. სხვათა შორის, გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები სწორედ ამ თანმიმდევრობით განაწილდა. თამაშების ჩემპიონს — ქუთაისის ნაკრებს ომარ მერაბიშვილი და ზაურ მჭედლიძე ავარჯიშებენ. გორელთა მწვრთნელები არიან გივი ზაუტაშვილი და ირაკლი წიკლაური, ლენტეხელი ძიუდოისტები კი ბერდია გუგავამ მოამზადა. როგორც ხედავთ, პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა თბილისის გუნდი. რა თქმა უნდა, თბილისში საუკეთესო ძალებია თავმოყრილი, მაგრამ, ეტყობა, მწვრთნელები გულისყურით არ მოეკიდნენ ჭაბუკთა რესპუბლიკურ თამაშებს და ნაკრებში უძლიერეს სპორტსმენებს ვერ მოუყარეს თავი. სუსტად იასპარეზეს აგრეთვე აჭარის, სამხრეთ ოსეთის, დუშეთისა და კასპის ძიუდოისტებმა, აფხაზეთისა და სამტრედიის წარმომადგენლებმა კი საგრძნობლად გააუმჯობესეს შედეგები.

ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა კარგად მოვემზადოთ ჭაბუკთა საკავშირო თამაშებისათვის, ღირსეულად წარვსდგეთ ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაზე. ვიმედოვნებთ, რომ კიევში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები ძიუდოს ქართული სკოლის ტრადიციების შესაფერისად გამოვა და მხოლოდ მაღალი ადგილებისათვის იბრძოლებს.

53 კგ. 1. კ. ონიანი (ქუთაისი), 2. ზ. გაზაშვილი (გორი), 3. ბ. ხაჩაშვილი (გურჯაანი), 3. ლ. დგებუაძე (აფხაზეთი).

57 კგ. 1. ა. ახალაძე (გორი), 2. ა. ჩაქსელიანი (ლენტეხი), 3. მ. კავსაძე (რუსთავი), 3. ი. სხილაძე (ზესტაფონი).

62 კგ. 1. ზ. ონიანი (ლენტეხი), 2. რ. ჯოჯევი (თბილისი), 3. ა. ქარელიშვილი, 3. ზ. ვაზაგაშვილი (ორივე — გორი).

68 კგ. 1. მ. ქურასპედიანი (ლენტეხი), 2. კ. სვანიძე (ქუთაისი), 3. ლ. რაჭიანი (თბილისი), 3. ჯ. ბერუაშვილი (ქარელი).

75 კგ. 1. მ. მაზმიშვილი (გორი), 2. მ. დარჩია (ქუთაისი), 3. ტ. პაჭკორია (აფხაზეთი), 3. თ. აბუაშვილი (გორი).

83 კგ. 1. ლ. ბიგაური (ახმეტა), 2. ზ. მარჯანიძე (ქარელი), 3. ლ. მირზაშვილი (საგარეჯო), 3. ვ. კაპანაძე (ხაშური).

+83 კგ. 1. თ. დაბრუნდაძე (ქარელი), 2. ლ. ხახალეიშვილი (ქუთაისი), 3. მ. რომელაშვილი (მცხეთა), 3. ჯ. ნარიმანიშვილი (თბილისი).

ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲣᲑᲔᲠᲐᲕᲡ ᲖᲣᲠᲒᲥᲐᲠᲘ



ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ჩვენ გვყავს გურამ ბიგანიშვილი, მაგრამ ამ სახელოვან აფროსანს ზურგს არავინ უმაგრებს. ამიტომ იყო, სპეციალისტები ინტერესით რომ ადევნებდნენ თვალს ჩვენი რეზერვების „გენერალურ დათვალიერებას“.

ფოთში, პალიასტომის ტბაზე გამართულ რბოლებში საქართველოს ნაკრები ცალკე გუნდად გამოვიყვანეთ, მაგრამ რაკი ვიცოდით ვის უნდა შებრძოლებოდნენ, იმაშიც დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ნაკრების წევრები იოლ გამარჯვებებს ვერ მოიპოვებდნენ.

მოგეხსენებათ, ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზე ყველა გუნდს თითო კლასში ერთი ეკიპაჟის გამოყვანის უფლება აქვს. ჩვენ კი ამ შეჯიბრებისათვის მზადების დაწყებისთანავე საწვრთნელ შეკრებაზე თითოეულ კლასში 3-3 ეკიპაჟი მოვიწვიეთ. ამან გუნდში კონკურენცია გაზარდა და სპორტსმენები რესპუბლიკურ შეჯიბრებას კარგად მომზადებულნი შეხვდნენ. „470“-ის ჭაბუკთა ეკიპაჟის წევრებმა აჭარელმა სპორტსმენებმა ოლეგ ფომენკომ და იგორ გვარამიამ, აგრეთვე „ვინგლაიდერით“ მოასპარეზე აფხაზმა რუსლან გვათუამ საქართველოს ნაკრების წევრებიც კი დაამარცხეს.

მომზადებაში ხელი იმანაც შეგვიწყო, რომ პალიასტომის ტბაზე თითქმის ისეთი ქარი და ტალღები იცის, როგორიც ტალინის ყურეში, სადაც ჭაბუკთა I საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული აფროსანთა შეჯიბრება გაიმართება. აფროსნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ აულებს ალღოს და გამოიყენებს ზღვის დინებას, ამიტომ ზღვაზეც ხშირად გავდიოდით სავარჯიშოდ.

ჩვენი აზრით, გუნდის წევრები კარგად არიან მომზადებულნი, მაგრამ ერთი რამ მაინც გვაფიქრებს; სამწუხაროდ, ჭაბუკ აფროსანთა საკავშირო შეჯიბრებები არც ისე ხშირად ტარდება. ჩვენი სპორტსმენები თითქმის არ იცნობენ თავიანთ მეტოქეებს. მწვრთნელებმა ვცადეთ ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციის საფუძველზე განგვესაზღვრა საქართველოს ნაკრების წევრების შესაძლებლობები ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზე. ჩვენი ვარაუდით საუკეთესოთა ხუთეულში უნდა მოხვდნენ „470“-ის გოგონათა და ჭაბუკთა ეკიპაჟები, აგრეთვე ჩვენი „ვინგლაიდერი“, თუმცა უკეთეს ადგილზე ფიქრიც არავის აუკრძალავს.

ფოთში „470“-ის ჭაბუკთა ეკიპაჟებმა კარგი მომზადება გამოავლინეს, მაგრამ გოგონების გამოსვლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — საქართველოს ნაკრების სახელით მოასპარეზე სოხუმელმა სპორტსმენებმა ელენა ზიაბლინამ და ბულია დარკოვამ ყველა რბოლა მოიგეს და შეჯიბრება უჭარიმოდ დაამთავრეს, თანაც დისტანციის გავლას დაახლოებით იმდენი დრო მოანდომეს, რამდენიც ჭაბუკებს დასჭირდათ. მართალია, ქალთა აფროსნობა სულ ახლახან შეიტანეს საკავშირო შეჯიბრებათა კალენდარში, მაგრამ ჩვენ წინდაწინ დავიჭირეთ თადარიგი. ასე რომ, ჭაბუკთა I საკავშირო თამაშებზე პირნათლად წარვსდგებით. აქვე ვიტყვი, რომ მომავალ წელს, IX საკავშირო სპარტაკიადაზე ქალები „ვინგლაიდერითაც“ იასპარეზებენ.

დიდ იმედებს ვამყარებთ სოხუმელ რუსლან ვოლოლაჩენკოზეც, რომელიც „ვინგლაიდერით“ გამოდის. მას შემდეგ, რაც რუსლანმა მოზრდილთა შორის საკავშირო თასის გათამაშებაში IX ადგილი დაიკავა და საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს, მისდამი რწმენა კიდევ უფრო განგვიმტკიცდა.

მართალია, საქართველოში იახტკლუბების რიცხვი არ გაზრდილა, აფროსნები მხოლოდ თბილისში, სოხუმში, ბათუმსა და ფოთში მეცადინეობენ, მაგრამ წარმატებები, წინა წლებთან შედარებით, მაინც იგრძნობა. მიზეზი? უკეთ მუშაობენ მწვრთნელები, გაუმჯობესდა ვარჯიშის საორგანიზაციო მხარე. სპორტსმენებსაც უკეთ ვამარაგებთ ინვენტარით. ახლა მათ ისეთივე ნავები აქვთ, როგორიც ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენებს. ყველაფერ ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. საქართველოში კვლავ გამოჩნდნენ პერსპექტიული აფროსნები. ასე რომ, გვეყოლებიან თუ არა ახალი ბიგანიშვილები, ეს ჩვენზეა დამოკიდებული.

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲤᲝᲘᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სპორტკომიტეტის ნიჩბოსნობისა და აფროსნობის განყოფილების უფროსი.

„470“. ჭაბუკები. 1. ო. ფომენკო, ი. გვარამია — 6; 2. მ. გოდობაძე, ლ. ბოროდინი (საქართველოს ნაკრები) — 9; 3. ს. ანტროპოვი, ა. პაპენკო (აფხაზეთი) — 36,5.

გოგონები. 1. ე. ზიაბლინა, ი. დარკოვა — 0; 2. ვ. ლობანოვა, ვ. კულკოვა (აჭარა) — 23,4; 3. ა. მანესი, ე. ბელკოვა (აფხაზეთი) — 35,7.

„ფინი“. 1. გ. კოლოსოვი (ფოთი, ნაკრები) — 11,0; 2. ო. ხორავა (ფოთი) — 19,4; 3. ე. ვერთანიანი (აფხაზეთი) — 20,7.

„ლუჩი“. 1. გ. მარქარიანი (სოხუმი, ნაკრები) — 3,0; 2. ი. მხითარიანი (აჭარა) — 17,4; 3. ვ. კოზარევი (ფოთი) — 23,1.

„ვინგლაიდერი“: 1. რ. გვათუა — 8,7; 2. რ. ვოლოლაჩენკო — 20,1; 3. ვ. ციბა (აჭარა) — 20,7.

გუნდური. 1. აფხაზეთი — 347,0; 2. აჭარა — 207,0; 3. ფოთი — 182,0. 4. თბილისი — 127,0; 5. ქუთაისი — 70,0.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

44-Ე ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ მოყვარულებს დღეს მეტად საინტერესო სანახაობა გველის: მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, გაიმართება ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი კიევის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორს“ შორის, რომლის ტრანსლაცია ცენტრალური ტელევიზიით დაიწყება 18 საათზე თბილისის დროით.

საინტერესოა ფინალისტთა გზა გადამწყვეტ მატჩამდე:

„ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ“ (ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘ). აბოვიანის „კოტაიკთან“ — 3:1 (სტუმრად), ერევნის „არარატთან“ 2:1 (შინ), დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ — 2:1 (შინ), ლენინგრადის „ზენიტთან“ — 0:0, დამატებითი პენალტებით 4:2 (შინ).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲙᲘᲔᲕᲘ). კიშინიოვის „ნისტრუსთან“ — 4:2 (სტუმრად), მოსკოვის „დინამოსთან“ — 1:1, დამატებითი პენალტებით 6:5 (შინ), ალმა-ათის „ქაირათთან“ — 2:1 (შინ), სმოლენსკის „ისკრასთან“ 3:0 (შინ).

სტატისტიკის მოყვარულებს ვთავაზობთ სსრ კავშირის თასის ყველა გადამწყვეტი მატჩის ცხრილს, სადაც აღნუსხულია ფინალური შეხვედრები, გამარჯვებულიც, დამარცხებულიც და ფინალისტთა მწვრთნელებიც.

ᲬᲚᲔᲑᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ. ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘ

1936	„ლოკომოტივი“ მ. (ა. სტოლიაროვი) — „დინამო“ თბ. (ა. სოკოლოვი) 2:0
1937	„დინამო“ მ. (ვ. დუბინინი) — „დინამო“ თბ. (ა. სოკოლოვი) 5:2
1938	„სპარტაკი“ მ. (კ. კვაშნინი) — „კრ. ზარია“ ლ. (კ. ლემეშევი) 3:2
1939	„სპარტაკი“ მ. (პ. პოპოვი) — „ზენიტი“ ლ. (კ. ეგოროვი) 3:1
1944	„ზენიტი“ ლ. (კ. ლემეშევი) — ცდკა (ბ. არკადიევი) 2:1
1945	ცდკა (ბ. არკადიევი) — „დინამო“ მ. (მ. იაკუშინი) 2:1
1946	„სპარტაკი“ მ. (ა. ვოლრატი) — „დინამო“ თბ. (ა. ჟორდანია) 3:2
1947	„სპარტაკი“ მ. (ა. ვოლრატი) — „ტორპედო“ მ. (ვ. მასლოვი) 2:0
1948	ცდკა (ბ. არკადიევი) — „სპარტაკი“ მ. (კ. კვაშნინი) 3:0
1949	„ტორპედო“ მ. (კ. კვაშნინი) — „დინამო“ მ. (მ. იაკუშინი) 2:1
1950	„სპარტაკი“ მ. (ა. დანგულოვი) — „დინამო“ მ. (ვ. დუბინინი) 3:0
1951	ცდსა (ბ. არკადიევი) — ქ. კალინინი (პ. ზენკინი) 2:1
1952	„ტორპედო“ მ. (ვ. მასლოვი) — „სპარტაკი“ მ. (ვ. სოკოლოვი) 1:0
1953	„დინამო“ მ. (მ. იაკუშინი) — „კრ. სოვ.“ კბ (პ. ბურმისტროვი) 1:0
1954	„დინამო“ კ. (ო. ოშენკოვი) — „სპარტაკი“ ერ. (პ. ანდრიასიანი) 2:1
1955	ცდსა (გ. პინაიჩევი) — „დინამო“ მ. (მ. იაკუშინი) 2:1
1957	„ლოკომოტივი“ მ. (ბ. არკადიევი) — „სპარტაკი“ მ. (ნ. გულიაევი) 1:0
1958	„სპარტაკი“ მ. (ნ. გულიაევი) — „ტორპედო“ მ. (ვ. მასლოვი) 1:0
1960	„ტორპედო“ მ. (ვ. მასლოვი) — „დინამო“ თბ. (ა. ჟორდანია) 4:3
1961	„შახტიორი“ (ო. ოშენკოვი) — „ტორპედო“ მ. (ვ. მასლოვი) 3:1
1962	„შახტიორი“ (ო. ოშენკოვი) — „ზნ. ტრუდა“ ო-ზ. (ა. ილინოვი) 2:0
1963	„სპარტაკი“ მ. (ნ. სიმონიანი) — „შახტიორი“ დ. (ო. ოშენკოვი) 2:1
1964	„დინამო“ კ. (ვ. მასლოვი) — „კრ. სოვეტ.“ კბ. (ვ. კარპოვი) 1:0
1965	„სპარტაკი“ მ. (ნ. სიმონიანი) — „დინამო“ მნ. (ა. სევიდოვი) 2:1
1966	„დინამო“ კ. (ვ. მასლოვი) — „ტორპედო“ მ. (ვ. მარიენკო) 2:0
1967	„დინამო“ მ. (კ. ბესკოვი) — ცსკა (ვ. ბობროვი) 3:0
1968	„ტორპედო“ მ. (ვ. ივანოვი) — „ფახთაქორი“ ტ. (ე. ელისეევი) 1:0
1969	„კარპატი“ ლ. (ე. იუსტი) — ასკ რ. (გ. მატვეევი) 2:1
1970	„დინამო“ მ. (კ. ბესკოვი) — „დინამო“ თბ. (გ. ჩოხელი) 2:1
1971	„სპარტაკი“ მ. (ნ. სიმონიანი) — ასკ რ. (ი. ბეცა) 1:0
1972	„ტორპედო“ მ. (ვ. მასლოვი) — „სპარტაკი“ მ. (ნ. სიმონიანი) 5:1
1973	„არარატი“ (ნ. სიმონიანი) — „დინამო“ კ. (ა. სევიდოვი) 2:1
1974	„დინამო“ კ. (ვ. ლობანოვსკი) — „ზარია“ ვ. (ე. პესტოვი) 3:0
1975	„არარატი“ (ვ. მასლოვი) — „ზარია“ ვ. (ი. ზახაროვი) 2:1
1976	„დინამო“ თბ. (ნ. ახალკაცი) — „არარატი“ (ე. მარქაროვი) 3:0
1977	„დინამო“ მ. (ა. სევიდოვი) — „ტორპედო“ მ. (ვ. ივანოვი) 1:0
1978	„დინამო“ კ. (ვ. ლობანოვსკი) — „შახტიორი“ (ვ. სალკოვი) 2:1
1979	„დინამო“ თბ. (ნ. ახალკაცი) — „დინამო“ მ. (ე. გორიანსკი) 5:4
1980	„შახტიორი“ (ვ. ნოსოვი) — „დინამო“ თბ. (ნ. ახალკაცი) 2:1
1981	ასკ რ. (ვ. ფედოტოვი) — „სპარტაკი“ მ. (კ. ბესკოვი) 1:0
1982	„დინამო“ კ. (ვ. ლობანოვსკი) — „ტორპედო“ მ. (ვ. ივანოვი) 1:0
1983	„შახტიორი“ (ვ. ნოსოვი) — „მეტალისტი“ ხ. (ე. ლემეშკო) 1:0
1984	„დინამო“ მ. (ა. სევიდოვი) — „ზენიტი“ ლ. (პ. სადირინი) 2:0
1985	„დინამო“ კ. (ვ. ლობანოვსკი) — „შახტიორი“ (ვ. ნოსოვი) ?

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: 1946, 1958, 1960, 1973, 1974 და 1984 წლებში თასის გამარჯვებული გაირკვა დამატებით დროში. 1951, 1965, 1971 და 1972 წლებში ფინალისტებს ორ-ორჯერ მოუხდათ თამაში, 1951 წლის განმეორებითი მატჩის შემდეგ კი დაინიშნა დამატებითი დრო. 1972 წელს განმეორებითი მატჩის ფრედ დამთავრების შემდეგ ტორპედოელებმა თასი მოიგეს დამატებითი პენალტებით. დამატებითი პენალტებით გაირკვა გამარჯვებული 1979 წელსაც, როცა თბილისის დინამოელებმა თავიანთ მოსკოველ თანაკლუბელებზე უკეთ შეასრულეს 11-მეტრიანები.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

მაშ ასე: დღეს სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების 44-ე ფინალური მატჩია. მისი მონაწილენი — კიევის „დინამო“ და დონეცკის „შახტიორი“ ერთხელ, 1978 წელს გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს, ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს კიეველებმა.

საერთოდ, კიევის „დინამო“ თასის გათამაშებათა ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი გუნდია ჩვენს ქვეყანაში, მან 7 ფინალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ექვსჯერ მოიპოვა გამარჯვება (1954, 1964, 1966, 1974, 1978, 1982 წლები). კიეველებმა ფინალში მხოლოდ ერთხელ წააგეს, ეს მოხდა 1973 წელს ერევნის „არარატთან“ შეხვედრაში.

დონეცკის „შახტიორის“ სათასო წარმატებები 1961 წელს დაიწყო, მაშინ და მომდევნო წელს დონეცკელებმა ზედიზედ ორჯერ მოიპოვეს საპატიო პრიზი, შემდგომ, 1963 წელს კი ფინალში წააგეს მოსკოვის „სპარტაკთან“. „შახტიორი“ ნამდვილი სათასო გუნდია, იგი ოთხჯერ ფლობდა ბროლის თასს (1961, 1962, 1980, 1983 წლები). ასეთი წარმატებები ამ გუნდს საკავშირო ჩემპიონატებში არა აქვს.

დიდი ფრენბურთი თბილისაც ესტუმრება

სულ მალე თბილისს ეწვევა დიდი სპორტული შეჯიბრება — 6 ივლისს დაიწყება უძლიერეს ფრენბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონები — საბჭოთა ფრენბურთელები, მაღალი რანგის არაერთი შეჯიბრების გამარჯვებულები — იაპონელი და კუბელი სპორტსმენები, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური გუნდები. შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ თბილისის ტურნირი დიდი ასპარეზობებისთვის მზადების ერთ-ერთი დასკვნითი ეტაპია — სექტემბერში ჰოლანდია უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატს, ხოლო ნოემბერში იაპონიაში მსოფლიო თასი გათამაშდება.

ამ ცოტა ხნის წინ საბჭოთა კავშირის ნაკრებმა წარმატებით დაასრულა იაპონიის ტრადიციული ტურნე (ექვსი შეხვედრა — ექვსი მოგება), შემდეგ მონაწილეობა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც გამოდიოდნენ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები ჩინელი ფრენბურთელები, „ოლიმპიადა-84“-ის ბრინჯაოს პრიზიორი იაპონიის ნაკრები და „დრუჟბა-84“-ის გამარჯვებული კუბის გუნდი. ამ ტურნირში ახალგაზრდულმა საბჭოთა ნაკრებმა (საშუალო ასაკი — 22 წელი) მესამე ადგილი დაიკავა.

თბილისის ტურნირი ორ ეტაპად მოეწყობა. პირველი — წინასწარი — წრიული სისტემით, ერთ წრედ ჩატარდება, მეორე — ფინალურ წრეში კი მთავარი პრიზისთვის იბრძოლებს ოთხი უძლიერესი გუნდი. მატჩები აქაც წრიული სისტემით გაიმართება. ფინალს მიღმა დარჩენილი ორი გუნდი მეხუთე-მეექვსე ადგილს შეეცილება ერთმანეთს.

3 საგზურის თექვსმეტი მაძიებელი

ჟელეზნოვოდსკი, 22 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). კურორტის კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პირველი საზონათშორისო ტურნირი.

ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა გენადი ოსტაშევსკიმ (სსრ კავშირი) გამოაცხადა, რომ პრეტენდენტთა ტურნირის სამი საგზურისთვის ბრძოლაში მხოლოდ 16 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. საასპარეზოდ არ ჩამოსულან დიდოსტატი ტატიანა ლემაჩკო (შვეიცარია) და საერთაშორისო ოსტატი გორდანა მარკოვიჩი (იუგოსლავია).

წილისყრის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: 1. რაჰანიკა კადილკარი (ინდოეთი, ფიდე-ს რეიტინგი 2165), 2. მარგარეტ მურეშანი (რუმინეთი, 2185), 3. ჯულია ლებელ-არიასი (საფრანგეთი, 1970), 4. ლიუ შილანი (ჩინეთი, 2160), 5. მარია ივანკა (უნგრეთი, 2200), 6. ვუ მინგ კვენი (ჩინეთი, 2075), 7. აგნეშკა ბრუსტმანი (პოლონეთი, 2175), 8. სვეტლანა მატვეევა (სსრ კავშირი, 2125), 9. პეპიტა ფერერ-ლუკასი (ესპანეთი, 2050), 10. ნინო გურიელი (სსრ კავშირი, 2275), 11. ლიუდმილა ზაიცევა (სსრ კავშირი, 2165), 12. მარტა ლიტინსკაია (სსრ კავშირი, 2210), 13. ნონა გაფრინდაშვილი (სსრ კავშირი, 2325), 14. ნინა ჰოიბერგი (დანია, 2145), 15. ელენა გლაზი (ისრაელი, 2100), 16. ჯოვანა არბუნიჩი (ჩილე, 2060).

ტურნირი 11 ივლისამდე გასტანს. რეგლამენტით მოჭადრაკეები ზედიზედ სამ-სამ ტურს გამართავენ, ყოველ მეოთხე დღეს მოეწყობა შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

გუშინ გაიმართა II ტურის შეხვედრები. გაფრინდაშვილმა დაამარცხა ივანკა, ზაიცევამ — ბრუსტმანი, ჰოიბერგმა — ლიუ შილანი და გლაზმა — ლებელ-არიასი. დანარჩენი პარტიები გადაიდო, მათ შორის ლიტინსკაია — ვუ მინგ კვენის და გურიელი — მატვეევას შეხვედრები.

2 ტურის შემდეგ ლიდერობენ ნინა ჰოიბერგი — 2 ქულა და ნონა გაფრინდაშვილი — 1,5.

დათო ჭიჭინაძე.

ჭაბუკთა საკავშირო სპორტული თამაშები

მიზანს მიაღწიეს

კიევში დამთავრდა ჭაბუკთა სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული წყალბურთელთა ფინალური შეჯიბრება. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ასპარეზობის უკანასკნელ დღეს რსფსრ-ის გუნდს შეხვდნენ. თუ ამ მატჩში საქართველოს ნაკრები დამარცხდებოდა, მაშინ ორივე გუნდს 6-6 ქულა ექნებოდა და საბოლოოდ მაინც რსფსრ-ის ნაკრები დაწინაურდებოდა. ჩვენმა ბიჭებმა მიზანს მიაღწიეს. თამაში დამთავრდა ფრედ — 7:7.

სატურნირო ცხრილი საბოლოოდ ასე გამოიყურება: მოსკოვი — 14 ქულა, უკრაინა, ყაზახეთი — 10-10, ტაჯიკეთი — 8, საქართველო — 7, რსფსრ — 5, ბელორუსია — 4, სომხეთი — 0.

ჯანი ფიქრისა, ჯანი განსჯისა

რატომ ბუქსაობს ველოსიპედი?

აქვე მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ დამახასიათებელ ფაქტზე. რბოლის დებულებით, 1969 წელს დაბადებულებს საასპარეზოდ გამონაკლისის სახით უშვებდნენ, სპეციალური სამედიცინო ცნობის წარდგენის შემდეგ. სოხუმში სტარტზე გამოსულ 12 სომეხ სპორტსმენში ამ ასაკისა მხოლოდ ერთი მონაწილე იყო, საქართველოს 34-კაციან გუნდში კი ასეთი „გამონაკლისი“ 12 ველოსიპედისტისთვის დაუშვეს. ცხადია, იძულებული რომ არ ყოფილიყვნენ, მწვრთნელები 16 წლის ბიჭებს არ გამოიყვანდნენ 18 წლის იუნიორების წინააღმდეგ. თბილისის გუნდში, მაგალითად, ექვსიდან სამი მრბოლელი უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი იყო. და, თუმცა მათგან ვ. ელიაშვილმა და ტ. სამადაშვილმა ნამდვილი მებრძოლის თვისებები გამოავლინეს (ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ სამადაშვილი რიკოთის უღელტეხილიდან დაშვებისას წაიქცა და ტრავმა მიიღო), ამ ასაკის სპორტსმენებისთვის ასპარეზობა, ცხადია, იოლი არ იქნებოდა. სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა 16 წლის რუსთაველმა მრბოლელმა ა. სკლიაროვმა, რომელმაც ყველა ეტაპის ჯამში III ადგილი დაიკავა. სკლიაროვი ჩაირიცხა რესპუბლიკის ნაკრებში. მიუხედავად ამისა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რეზერვის საქმე ვერა გვაქვს კარგად. ის, რომ ჭაბუკთა ნაკრები გუნდის ცხრა წევრიდან მხოლოდ სამია 18 წლისა, საგანგებო დაფიქრებას მოითხოვს.

როგორც ცნობილია, თითქმის 15 წლის შემდეგ საკავშირო კომპლექსურ ასპარეზობათა პროგრამაში ისევ შეიტანეს ქალთა და გოგონათა შეჯიბრებები გზატკეცილსა და ტრეკზე. მაისში გაიმართა ასპარეზობა ჭაბუკთა პირველი რესპუბლიკური თამაშების პროგრამით. მწვრთნელებს ამჯერად რთული ამოცანა არ ჰქონდათ გადასაწყვეტი: შეჯიბრების თორმეტ მონაწილეში ნაკრები გუნდის ხუთი კანდიდატი უნდა შეერჩიათ. თუმცა გოგონების სიმბოლური ნაკრები ჯერ კიდევ ზამთარში შედგა. სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ შემწეობით შესაძლებელი გახდა მუდმივი მწვრთნელის დანიშვნა (ვ. მალცევი) და ტექნიკური დახმარების ავტომანქანის გამოყოფა. მაგრამ აქ ჩვენ ისეთ საკითხს მივადექით, ალბათ აჯობებს ცალკე გამოვყოთ.

ველოსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ვფიქრობ, სპორტის დიდი ცოდნა არ უნდა იყოს აუცილებელი იმის მისახვედრად, რომ სპორტსმენი-ველოსიპედისტის აღსაზრდელად ორი რამ მაინც არის საჭირო: ველოსიპედი და სპორტული ეკიპირება. ცენტრალურ პრესას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში საგზატკეცილო სპორტულ-სარბოლო ველოსიპედებს მხოლოდ ხარკოვის ველოქარხანა უშვებს და მისი პროდუქციაც დაბალი ხარისხისაა. გაზეთი „პრავდა“ წერდა, რომ 1984 წელს ასეთი ველოსიპედების გამოშვების გეგმა 15 პროცენტით შესრულდა. შემთხვევითი როდია, რომ ქვეყნის ნაკრები, სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოებისა და უწყებების, აგრეთვე ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის გუნდები მხოლოდ უცხოური ველოსიპედებით გამოდიან სარბიელზე. ლაპარაკია არა მარტო იმაზე, რომ ტექნიკური სიახლეები წამებსა და მეტრებში უპირატესობას აძლევს სპორტსმენს. ლაპარაკია საიმედო სერიულ მანქანებზე, რომლებიც სპორტსმენის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. სპორტსმენს, რომელიც დეფექტური, მოძველებული, გაცვეთილი ველოსიპედით ასპარეზობს ან ვარჯიშობს, ყოველ წუთს საფრთხე ემუქრება. ასეთ დროს ველოსიპედის დაზიანებას მარტო წაგება კი არა, მეტად მძიმე შედეგებიც შეიძლება მოჰყვეს. აპრილში რუსთავის გზაზე გამართულ რბოლაში თბილისელ მ. გვარამაძეს ველოსიპედის ჩანგალი გატყდა. ამას მოჰყვა არა მარტო თვითონ გვარამაძის ტრავმა, არამედ მთელი სიჩქარით მიმავალი კიდევ ათი მრბოლელის წაქცევაც, რომელთა შორის რამდენიმე რესპუბლიკური ნაკრების კანდიდატი იყო.

ოფიციალური სტატისტიკით, ჩვენს რესპუბლიკაში სპორტულ სექციებში 2500-მდე ველოსიპედისტი ირიცხება. მაგრამ „ველოპარკის“ რეგისტრაცია რომ ჩავატაროთ, ეს ციფრი მკვეთრად შემცირდება — სულ ცოტა 7-8-ჯერ მაინც. რესპუბლიკაში ველოსიპედისტთა სიმრავლისა თუ სიმცირის ძირითადი მაჩვენებელი უნდა იყოს არა ოფიციალურ საბუთებში აღნიშნული ციფრი, არა იმ მწვრთნელთა რიცხვი, რეგისტრაციას რომ გაივლიან და თუნდაც ხელახალ კვალიფიკაციასაც იღებენ, არამედ ის, თუ რამდენი ველოსიპედია თითოეულ სპორტულ სექციაში, ჰყავს თუ არა მწვრთნელს მანქანა ტექნიკური მეგზურობისთვის, აქვს თუ არა საწვავი ამ მანქანისათვის.

ბოლო ხანს მოდაში შემოვიდა ლაპარაკი დღეში ორჯერად წვრთნაზე, მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდებზე, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის პრინციპებზე. მაგრამ, თუ მწვრთნელს საშუალება არა აქვს ბავშვებს მისცეს რვა-ათი ველოსიპედი (აღარას ვამბობ სათადარიგო ნაწილებზე და ველოსიპედის საბურავზე), მერე კი მათთან ერთად ავტომანქანით გავიდეს გზატკეცილზე, რათა არა მარტო ტექნიკა, ტაქტიკა თუ უმაღლესი სპორტის სხვა საიდუმლოებანი ასწავლოს თავის შეგირდებს, არამედ, პირველ ყოვლისა, მათი ელემენტარული უსაფრთხოება დაიცვას, ყოველგვარ მეცნიერებასა და მეთოდიკაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ვფიქრობ, არასპეციალისტებმაც იციან, რომ საგზატკეცილო ტრასებზე შეჯიბრებების ჩატარება არ შეიძლება, თუ იქვე არ არიან ავტოინსპექციის მუშაკები თავიანთი სპეცმანქანებით. დავძენთ, რომ რბოლების დროს, გარდა მილიციის მანქანებისა, ველოსიპედისტთა უსაფრთხოებას იცავენ მსაჯთა კოლეგიისა და ტექნიკური დახმარების მანქანებიც, რომლებიც მოასპარეზეებს ჩართული ფარებითა და წითელი ალმებით აძლევენ ნიშანს. ზოგჯერ ასპარეზობის ორგანიზატორებს ეხმარებიან სპორტსმენთა მშობლებიც თავიანთი ავტომანქანებით. მრბოლელთა ჯგუფი ხომ ხშირად რამდენიმე კილომეტრზეა გაფანტული და მეგზურობა სულ ბოლოს დარჩენილ ცალკეულ მონაწილეებსაც კი სჭირდებათ.

გზატკეცილზე ყოველდღიური წვრთნა კი ბევრად მეტ ხიფათთან არის დაკავშირებული, ვიდრე ნებისმიერი რბოლა. თუ ტრასაზე დაახლოებით თანაბარი კლასის ათი სპორტსმენი ერთად გავიდა, მწვრთნელს შეუძლია ერთი კარგად გამართული ავტომანქანითა და სპეციალური სიგნალიზაციით ასე თუ ისე უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება. მაგრამ, თუ მანქანა ძველია და ყოველდღე შეკეთება სჭირდება, ველოსექციაში კი სხვადასხვა ასაკის, კატეგორიისა და კვალიფიკაციის სპორტსმენები — ჭაბუკები, მოზარდები, უფროსები, გოგონები მეცადინეობენ, როგორღა უნდა მოახერხოს წვრთნის ორგანიზება და უსაფრთხოების დაცვა? არ დაგავიწყდეთ, ჩვენი მწვრთნელები ყოველდღიურად ასრულებენ მექანიკოსის ფუნქციასაც. ყოველი ვარჯიშის წინ ისინი იძულებული არიან როგორმე შეაკეთონ და რაღაცას დაამგვანონ დიდი ხნის გადასაყრელი ველოსიპედები (ხარკოვის სერიული ველოსიპედის ვარგისიანობის მაქსიმალური ვადა სამი წელია, მაგრამ ხშირად მანქანა სულ რაღაც რამდენიმე თვეში გამოდის მწყობრიდან). ყოველივე ამასთან ერთად მწვრთნელი იძულებულია მთელი მეცადინეობის მანძილზე ფხიზლად იყოს, რომ მანქანა არ გაფუჭდეს (თუკი საერთოდ ჰყავს ეს მანქანა) და ამავე დროს გამუდმებით ეძებოს საწვავი. დღეს საშუალო კლასის ველოსიპედისტი სეზონში 25-30 ათას კილომეტრს მაინც ფარავს და ტექნიკურ მეგზურს წელიწადში სულ ცოტა 3 ტონა საწვავი სჭირდება (ძველი, ნახმარი მანქანა კი ორჯერ მეტ საწვავს ნთქავს). მარტო უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურ სკოლას, სადაც 24 მწვრთნელი მუშაობს, წელიწადში 30 ათასი ტონა საწვავი სჭირდება, მაგრამ 1984 წელს მხოლოდ 13 ტონა მიიღო.

ამიტომ ყოველგვარი მოწოდებანი, რომ მწვრთნელებმა მეცადინეობის თეორიული და პრაქტიკული დონე აამაღლონ, ცხადია ლიტონ სიტყვებად რჩება. როცა მწვრთნელს ავტომანქანა არა ჰყავს და საწვავი არა აქვს, რათა კვირაში სამჯერ მაინც გავიდეს გზატკეცილზე თავის მოწაფეებთან ერთად (როგორც ეს ორმოცდაათიანი წლების წვრთნის მეთოდიკით იყო მიღებული), განა შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ იგი დღეში ორჯერად მეცადინეობაზე გადავა?

მირონ ბარამია,

სსრ კავშირის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდიუმის და ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის ტექნიკური კომისიის წევრი.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 117.

უეფა-ს ახალი სანქციები

ბრიუსელში, ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის დაწყებამდე მომხდარ ტრაგედიაზე ჩვენს პრესაში არაერთი ინფორმაცია გამოქვეყნდა. მკითხველმა ისიც იცის, რომ ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირმა ინგლისის გუნდებს განუსაზღვრელი დროით აუკრძალა ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობა. ახლა უეფა-მ ახალი სანქციები მიიღო, რომლებიც უშუალოდ ჩემპიონთა თასის ფინალური შეხვედრის მონაწილეებს — ინგლისის „ლივერპულსა“ და ტურინის „იუვენტუსს“ ეხება.

„ლივერპულს“ 3 წლით აეკრძალა ევროპის სამივე საკლუბო ტურნირში თამაში. თანაც, ეს სასჯელი მხოლოდ მას შემდეგ შევა ძალაში, როცა ინგლისის სხვა კლუბებს ამ შეჯიბრებებში მონაწილეობის ნებას დართავენ. თუ, ვთქვათ, ინგლისის გუნდები 1988 წლიდან ჩაებმებიან საკლუბო თასების გათამაშებებში, „ლივერპულს“ ამის უფლება მხოლოდ 1991 წლიდან მიეცემა. თანაც, თუ „ლივერპული“ თავისი დისკვალიფიკაციის პერიოდში ინგლისის ჩემპიონი გახდა, ჩემპიონთა თასის ტურნირში .მას ინგლისის ვერც ერთი სხვა გუნდი ვერ შეცვლის და ეს ქვეყანა ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო გათამაშებაში უადგილოდ დარჩება. თუ „ლივერპულმა“ ეროვნული თასი მოიპოვა, თასების მფლობელთა თასის ტურნირში მის მაგივრად ინგლისის თასის ფინალისტი გამოვა, ხოლო თუ ლივერპულელები ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილს დაიკავებენ და უეფა-ს თასის გათამაშებაში ასპარეზობის უფლებას მოიპოვებენ, მათ ინგლისის რომელიმე სხვა გუნდი შეცვლის.

„იუვენტუსი“ კი ასე დაისაჯა: ჩემპიონთა თასის მორიგი ტურნირის ორ მატჩს (საკუთარ მოედანზე) ტურინელები უმაყურებლოდ ჩაატარებენ.

გადაწყდა, აგრეთვე, რომ ბელგიის სტადიონებზე უახლოესი 10 წლის მანძილზე არ ჩატარდება ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის ფინალური შეხვედრები.

რაც შეეხება ინგლისის ნაკრების მონაწილეობას ევროპის მომავალ ჩემპიონატში, ამ საკითხზე უეფა იმსჯელებს თავისი აღმასკომის საგანგებო სხდომაზე, რომელიც 20 აგვისტოს გაიმართება პარიზში.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 23 ივნისი. რიტმული ტანვარჯიში — **9.30** (2); „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.20** (1); ევროპის ჩემპიონატი ავტოკროსში **10.30** (2); ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი — **16.50** (2); სსრ კავშირის თასის ფინალი ფეხბურთში: „დინამო“ (კიევი) — „შახტიორი“ (დონეცკი) — **18.00** (1); შესვენებისას — „ჯანმრთელი რომ იყო“ (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი ცურვაში — **21.30** (2); საფეხბურთო მიმოხილვა — **23.15** (1).

საქართველოს ტელევიზია. 23 ივნისი. „ვემზადებით ჭაბუკთა საკავშირო თამაშებისთვის“ — **14.25**; სსრ კავშირის თასის ფინალი ფეხბურთში: „დინამო“ (კიევი) — „შახტიორი“ (დონეცკი) — **18.00**; საფეხბურთო მიმოხილვა — **23.15**.

რედაქტორი ა. გოგელია.

ИНДЕКС 68425 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი-96 ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.